საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- --მიმართ
დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №112/17

-- -- 2017 წლის 28 ივნისის -- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 28 თებერვლის №112/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა- განმარტება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

№ საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (საქმის

განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, კერძოდ, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2015 წელს. საქმის განხილვა საჩივრის წარდგენის მომენტისთვის არ დასრულებულა.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1 2015 წლის 12 ოქტომბერს -- -- მამობის დადგენის და გვარის მინიჭების შესახებ სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე და სარჩელის განსახილველად მიღებაზე. მოსამართლემ განმარტა, რომ არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარის განთავისუფლების საფუძველი და ასევე, მხარე ვალდებული იყო უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა სასარჩელო მოთხოვნა და განესაზღვრა მოპასუხეთა წრე.

2015 წლის 28 ოქტომბერს -- -- სასარჩელო განცხადებით კვლავ მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ. მოსარჩელემ მამობის დადგენა მოითხოვა. 2015 წლის 2 ნოემბრის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2015 წლის 5 ნოემბერს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა ყველა მოპასუხეს. 2015 წლის 13 ნოემბერს შესაგებლები წარადგინეს -- --, -- -- და -- --. სამივე შესაგებელი იდენტურ შინაარსს შეიცავდა მოპასუხეები არ დაეთანხმნენ სასარჩელო მოთხოვნებს.

2015 წლის 17 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 6 დეკემბერს.

2015 წლის 31 დეკემბრის განჩინებით გაგრძელდა საქმის განხილვის საპროცესო ვადა 5 თვემდე.

2016 წლის 6 დეკემბრის მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა სარჩელის ნაწილობრივ განუხილველად დატოვების და მოსარჩელის მხარეს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის თაობაზე. იმავე განჩინებით საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისათვის.

2016 წლის 16 დეკემბერს -- -- წარმოადგინა შუამდგომლობა ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

2017 წლის 3 თებერვლის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 19 ივლისს.

2017 წლის 19 ივლისის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მამობის დადგენის მიზნით ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის და საქმის განხილვის შეჩერების შესახებ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო ექსპერტიზა ჩაეტარებინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

2017 წლის 26 სექტემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა მოპასუხე -- --. მან განმარტა, რომ მორალური და ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეეძლო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წარედგინა -- -- ექსჰუმირებული ძვლის ფრაგმენტი.

2017 წლის 5 ოქტომბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --. განმცხადებელმა განმარტა, რომ თავად ვერ შეძლებდა საექსპერტო დაწესებულებისთვის წარედგინა ექსჰუმირებული ძვლის ფრაგმენტი და მოითხოვა, სასამართლოს დაევალებინა შესაბამისი სამსახურისათვის -- -- გვამის ექსჰუმაცია.

2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დადგინდა, რომ განჩინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მომხდარიყო -- -- გვამის ექსჰუმაცია. საჭირო სამუშაოების ჩატარება უნდა დავალებოდა შპს --, ხოლო ხარჯები წინასწარ უნდა დაკისრებოდა მოსარჩელე -- --.

2017 წლის 24 ნოემბერს მიღებულ იქნა განჩინება გვამის ექსჰუმაციისათვის დადგენილი ვადის გაგრძელების და ამ საკითხის შესათანხმებლად მოსამზადებელი სხდომის 28 ნოემბერს დანიშვნის შესახებ. 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით გაგრძელებულ იქნა გვამის ექსჰუმაციის ვადა. ექსჰუმაციის ვადად დადგენილ იქნა 2017 წლის 18 დეკემბერი. გვამის ექსჰუმაცია ჩატარდა 2017 წლის 18 დეკემბერს. საქმის განხილვა სასამართლოში არ დასრულებულა.

2.2. ამასთან, 2016-2017 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- 2016 წელს განსახილველად ეწერა დაახლოებით - 942 საქმე, დაასრულა - 418 საქმე (44%), 2017 წელს განსახილველად ეწერა დაახლოებით - 998 საქმე, დაასრულა - 604 საქმე (61%).

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

2018 წლის 30 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მოსამართლე -- -- მიერ წარდგენილი იქნა ახსნა-განმარტება.

მოსამართლე ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ -- -- სარჩელის საფუძველზე წარმოებულ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს 2015 წლის ნოემბრის განჩინებით დადგინდა, რომ მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი და სარჩელი თანდართული მასალებით არ იყო საკმარისი მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად და საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესი მოითხოვდა მოსამზადებელი სხდომის ჩატარებას, რომელიც სადავო არც საჩივრის ავტორს გაუხდია. ამასთან, საქმეთა განსახილველად სხდომის თარიღის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობდა ორი კრიტერიუმით: დავის კატეგორიის და შესაბამის კატეგორიაში დასანიშნად მომზადებულ საქმეთა რიგითობის მიხედვით.

მოსამართლე უთითებს, რომ საოჯახო და მემკვიდრეობითი დავების კატეგორია 2015 წლის აგვისტოს თვემდე წარმოდგენილი იყო ხუთი მოსამართლით. აგვისტის თვიდან დეკემბრის თვის ჩათვლით კი სამი მოსამართლით. 2016 წლის იანვრიდან კატეგორიას დაემატა სამი მოსამართლე და ვინაიდან ახლად გამწესებულ მოსამართლეთა მიმართ საქმეთა გათანაბრებას ადგილი არ ქონია, 2015 წლის აგვისტო-დეკემბრის თვეებში შემოსულ საქმეთა ხვედრითი წილი შემდგომ პერიოდში მის წარმოებაში არსებულ საქმეთა შორის იყო მაღალი. 2017 წლის 16 ივნისს 2015 წელს შემოსულ სარჩელთაგან განსახილველი ქონდა 37 სამოქალაქო საქმე. ამათგან, ამჟამად განხილულია 32 სარჩელი.

მოსამართლე აღნიშნავს, რომ შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე მოსარჩელემ წარადგინა იმავე წლის 16 დეკემბერს. ამ შუამდგომლობაზე მოპასუხე მხარემ მოსაზრება წარადგინა 2017 წლის 2 თებერვალს. 2017 წლის 3 თებერვლის განჩინებით სხდომის თარიღი განისაზღვრა ივლისის თვით იმავე გარემოებების გათვალისწინებით, რაც პირველი სხდომის თარიღის განსაზღვრას დაედო საფუძვლად. მოსამართლის მოსაზრებით, ყურადსაღებია, რომ მოსარჩელემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა 2017 წლის 28 ივნისს, მაშინ როდესაც უკვე სასამართლო სხდომები დანიშნული იყო და პირველ სხდომისთვის თავად არ იყო მომზადებული. 2017 წლის 19 ივლისის განჩინებით დანიშნული ექსპერტიზის ხარჯი მოსარჩელეს არ ქონდა გადახდილი და არც სასამართლოს მიმართვაზე, თუ როდის შეძლებდა გადახდას, არ უპასუხია.

ამასთან, მოსამართლემ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ საქმეთა სიმრავლის გამო, პრიორიტეტულად განიხილავდა ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო არასრულწლოვანთა ინტერესებთან (საალიმენტო დავები, არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, არასრულწლოვანთან ურთიერთოებების წესის დადგენა და ა.შ).

მოსამართლე უთითებს, რომ 2015 წელს განსახილველად ეწერა 995 სარჩელი, განიხილა - 711; 2016 წელს განსახილველად ეწერა - 930 სარჩელი, განიხილა - 649; 2017 წელს განსახილველად ეწერა - 786, განიხილა - 604.

შესაბამისად, მოსამართლე მიიჩნევს, რომ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით ადგილი არ ჰქონია მისი მხრიდან საქმეების განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

4. დისციპლინური დევნის შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები; ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა

უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტების და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება საქმის განხილვის განზრახ ბრალეულად გაჭიანურების შემთხვევა. არსებულ მოცემულობაში, საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლემ და იმ ობიექტურმა ხელშემშლელმა გარემოებებმა, რაზედაც მოსამართლე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს. კერძოდ, პრიორიტეტულად განიხილავდა დავებს, რაც შეეხებოდა არასრულწლოვანთა ინტერესებს. ეს დავებია: საალიმენტო დავები, არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა,

არასრულწლოვანთან ურთიერთობის წესის დადგენა, მამობის დადგენა და სხვა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განცხადებით სხდომის დანიშვნის ან/და საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართლაწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა. ამავე კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „დ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - საქმის განხილვის უსაფუძვლო ბრალეული გაჭიანურების შესაძლო ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 75[13] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური დევნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი